საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ტერიტორიული ორგანო - ქალაქ ტყიბულის საგანმანათლებლო რესურსცენტრი

TERRITORIAL ENTITY OF THE MINISTRY OF EDUCATION , SCIENCE AND YOUTH OF GEORGIA – EDUCATIONAL RESUOURCE CENTER OF TKIBULI

09/12/2025

MES 8 25 0001758726

სსიპ -საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს
თავმჯდომარეს
ქალბატონ ნათია ჩირიკაშვილს

წარმოგიდგენთ, ქალაქ ტყიბულის საგანმანათლებლო რესურსცენტრის 2025 წლის ანგარიშს ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის " 49-ე მუხლის შესაბამისად, ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" ,,ინფორმაციის თავისუფლების" თავით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულების თაობაზე.

ქალაქ ტყიბულის საგანმანათლებლო რესურსცენტრში არსებული საჯარო მონაცემთა ბაზები :

- ქალაქ ტყიბულის საგანმანათლებლო რესურსცენტრის 2025 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების/ ქვეპროგრამის და მათ ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებების შესახებ ინფორმაცია;
- დაწესებულების მომსახურეთა ბაზა;
- შემოსული/გასული წერილები;
- ინფორმაცია რესურსცენტრისა და სამოქმედო ტერიტორიაზე არსებული საჯარო სკოლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და ინფრასტრუქტურის შესახებ;
- საჯარო სკოლების შესახებ არსებული საჯარო ინფორმაციათა ბაზები;
- სკოლების საშტატო განრიგები და სატარიფიკაციო სიები;
- სამეურვეო საბჭოების შესახებ ინფორმაციული ბაზები;
- სკოლის დირექტორების დანიშვნა/გათავისუფლების შესახებ ბრძანებების ბაზა;
- ინფორმაცია ექსტერნატის ფორმით გამოცდაზე დარეგისტრირებული პირების შესახებ;
- ინფორმაცია სკოლების მიერ იჯარით გაცემული ფართების შესახებ;
- მონაცემები ეროვნული სასწავლო და სამოქალაქო ოლიმპიადების პირველ ტურში მონაწილე სკოლებისა და მეორე ტურში გადასული მოსწავლეების შესახებ;
- მასწავლებელთა სერტიფიკატების გაცემის რეესტრი.
- ინფორმაცია მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში ჩართული პედაგოგების შესახებ ;

4300 ტყიბული, კარლო ლომაძის მოედანი N3; Tkibuli, Karlo Lomadze Square N3

0 (497) 2 2 29 78; E-mail: tkibuli@mes.gov.ge

- ინფორმაცია ინკლუზიური განათლების ხელშეწყობის პროგრამაში ჩართული სკოლების/მოსწავლეების შესახებ.

ინფორმაცია პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავების და შენახვის შესახებ:

რესურსცენტრი თავის საქმიანობიდან გამომდინარე აგროვებს , ამუშავებს და ინახავს პერსონალურ მონაცემებს რესურსცენტრის მოსამსახურეთა და რესურსცენტრის სამოქმედო ტერიტორიაზე არსებული საჯარო სკოლების ადმინისტრაციის, მასწავლებელთა და მოსწავლეთა შესახებ.

რესურსცენტრში პერსონალური მონაცემები დაცულია, როგორც ელექტრონული, ისე – მატერიალური სახით. დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემაში (eflow.emis.ge) ინახება ელექტრონული ფორმით არსებული პერსონალური მონაცემები, რომლებსაც განმცხადებელი უთითებს მის მიერ წარმოდგენილ განცხადებაში. აღნიშნულ მონაცემებზე წვდომა აქვთ მხოლოდ იმ პირებს, რომლებსაც, მათი სამსახურებრივი საქმიანობიდან გამომდინარე, მინიჭებული აქვთ ამგვარი მონაცემების დამუშავების და შეგროვების უფლებამოსილება. დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემაში არსებული პერსონალური მონაცემების უსაფრთხოება უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფორმაციულ-ტექნოლოგიური საშუალებებით, რაც თავის მხრივ, გამორიცხავს არაუფლებამოსილი პირებისათვის პერსონალურ მონაცემებზე წვდომას.

პერსონალური მონაცემების გაცემა ხდება მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით მკაცრად/პირდაპირ დადგენილი წესით, ფორმით, ფარგლებსა და შემთხვევებში.

2025 წლის განმავლობაში შეგროვებულ დადამუშავებულ იქნა შემდეგი მონაცემები:

- მონაცემები 2024-2025 სასწავლო წლის ოქროსა და ვერცხლის მედალოსანთა შესახებ;
- მონაცემები დაწყებითი კლასის მოსწავლეთა და მასწავლებელთა შესახებ მათთვის ბუკების გადაცემის უზრუნველყოფის მიზნით.
- მონაცემები ექსტერნების შესახებ ექსტერნატის ფორმით გამოცდებზე მათი რეგისტრაციის მიზნით.
- მონაცემები სკოლების სამეურვეო საბჭოების შესახებ მათი წევრების უფლებამოსილების შეწყვეტის, სხვა წევრით ჩანაცვლების, ასევე სამეურვეო საბჭოს არჩევნების / რიგგარეშე არჩევნების შედეგების რეგისტრაციის უზრუნველყოფის მიზნით;
- მონაცემები მოქალაქეების შესახებ, სამოქმედო ტერიტორიაზე არსებულ ზოგად საგანმანათლებლო დაწესებულებაში მათი სწავლის , შესაბამისი ზოგადი საგანმანათლებლო დაწესებულების დამთავრების ან/და მათზე ატესტატის/ დიპლომის/ სერთიპიკატების გაცემის დადასტურების მიზნით.
- მონაცემები მოსწავლეების შესახებ, რომელთაც დაძლიეს საბაზო და საშუალო საფეხური, მათთვის შესაბამისი ატესტატის გადაცემის უზრუნველსაყოფად.

მონაცემები საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის და გაცემის შესახებ :

2025 წლის განმავლობაში დაწესებულებაში შემოვიდა:

1. სულ 1 (ნული) მოთხოვნა საჯარო ინფორმაციის გაცემაზე, აქედან დაკმაყოფილდა - 0 (ნული) ;
2. მოთხოვნა საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის თაობაზე არ შემოსულა;

3. მიღებულ იქნა გადაწყვეტილება საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ მოთხოვნაზე უარის თქმის თაობაზე- 1;
4. საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის შესახებ დაწესებულების გადაწყვეტილება არ გასაჩივრდა.
5. საჯარო მოსამსახურეთა მიერ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნათა დარღვევა არ დაფიქსირებულა,შესაბამისად , პასუხისმგებელ პირებზე დისციპლინური სახდელი არ დადებულა;
6. დაწესებულებას არ გაუწევია ინფორმაციის დამუშავებასა და გაცემასთან ასევე ,ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილებების გასაჩივრებასთან დაკავშირებული ხარჯები, მათ შორის არ გვაქვს მხარის სასარგებლოდ გადახდილი თანხები.

ამასთან წარმოგიდგენთ, ქალაქ ტყიბულის საგანმანათლებლო რესურსცენტრის სამოქმედო ტერიტორიაზე მყოფი 24 საჯარო სკოლის 2025 წლის ანგარიშს ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის " 49-ე მუხლის შესაბამისად, ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" ,,ინფორმაციის თავისუფლების" თავით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულების თაობაზე.(იხ. მიბმული ფაილები).

პატივისცემით,

იმერეთის საგანმანათლებლო რესურსცენტრი
ქალაქ ტყიბულის საგანმანათლებლო რესურსცენტრი
რესურსცენტრის უფროსი
სანებლიძე მარიამ

მ. სანებლიძე